ზოგადი ხედვა

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?

თბილისი უნდა უზრუნველყოფდეს კომფორტსა და უსაფრთხოებას, როგორც საკუთარი მოქალაქეებისათვის, ასევე დედაქალაქის სტუმრებისათვის. ეს ნიშნავს:

- კომფორტული და მოქალაქეზე ორიენტირებული ახალი ტიპის საჯარო სერვისები და ქალაქის მენეჯმენტი
- კომფორტული და დაცული საცხოვრებელი გარემო, უსაფრთხო ინფრასტრუქტურა/ტრანსპორტი და კრიზისების/კატასტროფების მართვის თანამედროვე სისტემა
- კულტურით გამდიდრებული და ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემო დასვენებისა და გართობისათვის
- ხარისხიანი ჯანდაცვის, სოციალური უსაფრთხოებისა და სოლიდარობის მექანიზმები
- თბილისის უბნების ფუნქციური რეინტეგრაცია და მათთვის თანაბარი განვითარების პირობების უზრუნველყოფა

თბილისი უნდა იყოს ეკონომიკური, კულტურული, ინოვაციური და სატრანსპორტო გლობალური სმარტ-ჰაბი:

- ქალაქი, რომელიც უმასპინძლებს კულტურისა და განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ჯანდაცვის, ასევე, სპორტისა და ტურიზმის სფეროში საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებს მთელი წლის მანძილზე.
- საერთაშორისო ბიზნესის მოზიდვის მიზნით კომპანიის რეგისტრაციისა და ადმინისტრირების სმარტ-სერვისების განვითარება.
- თბილისმა, როგორც გლობალურმა ლიდერმა უნდა უზრუნველყოს ბლოკჩეინ-ეკონომიკისა და კაპიტალის მოზიდვის მიზნით, რეგულაციების დონეზე შესაბამისი შესაძლებლობებისა და სტიმულების შექმნა.
- ქალაქის საინვესტიციო ბიუჯეტის და მოქალაქეთა შემოსავლების გასამმაგება მეგა-პროექტების შექმნისა და მათი ICO მექანიზმებით კრიპტო-ინვესტიციების მოზიდვით.
- ახალი უბანი ლილოს დასახლებაში - პირველი ბლოკჩეინ-ქალაქი მსოფლიოში.

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა (თუკი ასეთი გაქვთ).

IV ინდუსტრიული რევოლუცია ახალ ეკონომიკურ სტიმულებს აჩენს. სამწუხაროდ, თბილისი არ არის მომხიბვლელი ბიზნესის საწარმოებლად. საქართველო უნდა გახდეს გლობალური ბლოკჩეინ ეკონომიკის ლიდერი, შესაბამისი რეგულაციების შექმნითა და მისი ბლოკჩეინ-მენეჯმენტზე ტრანსფორმაციის გზით.

ამ მიმართულებით განხორციელდება შემდეგი ინიციატივები:

- eCard Tbilisi - ციფრული ID/ლოიალობის ბარათი ტურისტებისათვის;
- ყველაზე მარტივი პროცედურები მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან თბილისში ბიზნესის დასარეგისტრირებლად;
- ყველა კომპანიის მფლობელი მიიღებს ბიზნეს ბარათს, რითაც შეძლებს კომპანიის სრულად მართვას, ბანკში ანგარიშის გახსნას და ფინანსური აქტივების მართვას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან;
- საგადასახადო გარემო მოერგება ასეთი ტიპის ბიზნესების საჭიროებებს;
- ყველა სერვისი განხორციელდება კერძო კომპანიების მეშვეობით;
- ბლოკჩეინ-ეკონომიკის ლეგალიზაცია.

3. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

4. თქვენი აზრით, რა არის თქვენი ქალაქის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

ტურისტების მატების მიუხედავად ბოლომდე არ არის ათვისებული ტურიზმის ეკონომიკური პოტენციალი. ტურისტული ნაკადების თავმოყრა მხოლოდ ქალაქის ცენტრში, ხელს უშლის მათგან მიღებული შემოსავლის გადანაწილებას სხვა უბნებში. თბილისი უნდა იქცეს ტურისტული მეგა-ღონისძიებების ცენტრად მთელი წლის მანძილზე.

ამ მიმართულებით *განხორციელდება* ოთხი ღონისძიება, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება და უზრუნველყოფს ტურისტების რაოდენობის ზრდას დედაქალაქში:

- თბილისობა გახდება საერთაშორისო ფესტივალი და უმასპინძლებს სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებსა და მათ მაცხოვრებლებს.
- 1-7 იანვარს თბილისში გაიმართება ყველაზე დიდი საახალწლო ფესტივალი აღმოსავლეთ ევროპაში, რაც მოიზიდავს ტურისტებს და შექმნის სამუშაო ადგილებს.
- 1-15 მაისს თბილისში გაიმართება გლობალური კრიპტოინოვაციური ფორუმი.
- ზაფხულში თბილისში გაიმართება მსოფლიო ხალხების ეთნო-კულტურული ფესტივალი.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად?

XXI საუკუნის ეკონომიკა წარმოუდგენელია ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების გარეშე. ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას გასცდე ქალაქისა თუ ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებს და საკუთარი პროდუქტი მსოფლიოს შესთავაზო. მცირე მოსახლეობისა და დაბალი მსყიდველობითი უნარის მქონე ქვეყნების ეკონომიკებისათვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი საერთაშორისო პროექტები. თბილისი უნდა იქცეს ინოვაციური სტარტაპების ჰაბად. ამ მიზნით, ქალაქის ადმინისტრაციისა და საერთაშორისო სტარტაპ ფონდების თანამშრომლობით გაიმართება ყოველწლიური ფორუმი ინოვაციური პროექტების გამოსავლენად.

ურბანული განვითარება/ ქალაქდაგეგმარება/ბინათმშენებლობა

7. რა ღონისძიებებს გაატარებთ უკეთესი ხარისხის საბინადრო პირობების შესაქმნელად მოქალაქეთათვის?

თბილისის ცენტრალური უბნები გადატვირთულია საცხოვრებელი და ბიზნეს ფუნქციებით, მაშინ როდესაც პერიფერიები ჯერაც ასათვისებელია. ამის გამოსასწორებელად, თბილისის ზღვასა და აეროპორტს შორის შეიქმნება მსოფლიოში პირველი ბლოკჩეინ-ქალაქი – ნიუ-სითი ახალი ოფისებითა და სამუშაო ადგილებით. აშენდება კრიპტო-ინვესტიციების გზით, რაც შექმნის ბაზისს მოქალაქეებისათვის შემოსავლების ზრდისა და თბილისის ლიდერთა შორის დამკვიდრებისთვის. ამ მიზნით, მოხდება:

- შესაბამისი საინვესტიციო პაკეტის შექმნა;
- თბილისის თითოეულ მაცხოვრებელს დაურიგდება ბლოქჩეინ ქალაქის კრიპტო აქცია;
- ბლოკჩეინ ქალაქის დანარჩენი აქციები გატანილი იქნება ICO-ზე, რითიც მოხდება საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვა. კრიპტო-აქციები საშუალებას მისცემს მათ ფლობელებს მიიღონ შემოსავალი იჯარიდან და სხვა კომერციული პროექტებიდან, რომელიც ამ ტერიტორიაზე განხორციელედება;
- ბლოკჩეინ ქალაქი თბილისი იმუშავებს სრულად მზის ენერგიაზე;
- ბლოკჩეინ-თბილისში იქნება მხოლოდ ელექტრო ტრანპორტი და იქნება ყველაზე მწვანე ქალაქი რეგიონში;
- ყველა პროცედურა/სერვისი და უსაფრთხოების სისტემები იქნება სრულად ავტომატიზირებული და ონლაინ-ხელმისაწვდომი.

8. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქის ქუჩების სისუფთავის გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

9. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისათვის?

ქალაქში არის პარკირების პრობლემა, გაუთავებელი საცობები და მოუწესრიგებელი საქალაქო ინფრასტრუქტურა. გაუმართავია საგზაო ნიშნები და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები. თბილისი გახდება ევროპული სტანდარტების საცხოვრებელი ქალაქი. ამ მიზნით, განხორციელდება შემდეგი ინიციატივები:

- ელექტრო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება;
- უსაფრთხო გზები და გადასასვლელები;
- საფეხმავლო ქუჩები და ველობილიკები;
- ვერტიკალური პარკირების სისტემა;
- ევროპული სტანდარტის ურბანული განვითარება.

10. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

11. რა ღონისძიებებს გაატარებთ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაქში გადაადგილების შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის?

მოეწყობა პანდუსები და სპეციალური ინფრასტრუქტურა შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის.

კულტურა და განათლება

12. რა პროგრამებს განახორციელებთ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის?

ლიდერობა თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია საერთაშორისო ფუნქციის გარეშე. სამწუხაროდ, თბილისმა დაკარგა ისტორიულად არსებული კულტურული და პოლიტიკური ცენტრის ფუნქცია, როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. თბილისმა უნდა დაიბრუნოს ისტორიული ფუნქცია - კულტურული ცენტრის, ცივილიზაციათა გამაერთიანებლის როლი. ამ მიმართულებით, განხორციელდება შემდეგი ინიციატივები:

- კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ჩვენი დღევანდელობა და მომავლის საფუძველი;
- თანამედროვე ხელოვნების ცენტრი (ბიენალე, გამოფენები, კონცერტები);
- მრავალფეროვნება და კულტურათა დიალოგი;
- ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის;
- ევროპაში ყველაზე ბევრი საფეხმავლო ქუჩა ძველ ქალაქში.

13.თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

თბილისმა, როგორც ინოვაციების, "ცოდნის ქალაქმა" უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების კონკურენტუნარიანობა, ასევე, ცოდნაზე დაფუძნებული ბიზნესების ხელშემწყობი

კლიმატის შექმნა. ინფორმაციული საზოგადოების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებული, უწყვეტი განათლების მექანიზმების განვითარება. მოსწავლე - მასწავლებლები - მშობელი, სტუდენტი - ლექტორი/მკვლევარი - ბიზნესი თანამშრომლობისა და განვითარების მექანიზმების ხელშეწყობა.

“ცოდნის ეკონომიკა” ითხოვს თანამედროვე, XXI საუკუნის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას. არსებული განათლების სისტემა, ისევე როგორც კვლევითი ცენტრები თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობების მიუხედავად მკვეთრად ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. განათლებისა და მეცნიერების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს IV ინდუსტრიული რევოლუციის კომპეტენციების განვითარებას. თბილისმა უნდა დაიბრუნოს ისტორიულად არსებული ინტელექტუალური ცენტრის ფუნქცია. ამ მიმართულებით, განხორციელდება შემდეგიინიციატივები:

- სმარტ-მოქალაქე - წარმატების საფუძველი;
- მასწავლებელი, აღმზრდელი, ლექტორი - ცოდნისა და ინოვაციების გენერატორი;
- საერთაშორისო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
- თბილისი - ინოვაციების რეგიონალური ჰაბი;
- დედაქალაქის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 30 მილიონი ლარი დაიხარჯება სკოლისა და ბაღის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

უსაფრთხოება და კრიმინალი

14. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

15. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა და რა სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის იზრუნებთ ქალაქში?

შესაძლებლობების ქალაქი თანამედროვე სამყაროში არ არსებობს სოციალური სოლიდარობის გარეშე. ჩვენი მიზანი უფასო სასადილოების მოწესრიგება არ არის. ჩვენი მიზანია ეს ხალხი გაჭირვებიდან გამოვიყვანოთ. მივცეთ მათ შესაძლებლობა გახდნენ წარმატებულები, დასაქმდნენ და გაიჩინონ შემოსავალი. ჩვენ ვქმნით შესაძლებლობებს წარმატებისთვის. ამ მიზნით, განხორციელდება შემდეგი ინიციატივები:

- სოციალური ბიუჯეტი - სოციალური მხარდაჭერის მდგრადი მექანიზმები;
- სოციალური ბიუჯეტის (დახმარებები) განკარგვა წინასწარ ცნობილი კრიტერიუმებითა და მექანიზმებით.

16. რა ღონისძიებებს განახორციელებთ ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გასაუმჯობესებლად თქვენს ქალაქში?

შეიქმნება ევროპული სტანდარტის სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების სისტემა.

17. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

18. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

XXI საუკუნის თბილისი, ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა.თბილისი გახდება ევროპული სტანდარტების საცხოვრებელი ქალაქი. ამ მიმართულებით, განხორციელდება შემდეგი ინიციატივები:

- ევროპული სტანდარტის სკვერები და სარეკრეაციო ზონები;
- მზის ენერგიაზე მომუშავე ქალაქი;
- ვერტიკალური გამწვანება;
- სახურავების გამწვანება.

19. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

მოეწყობა ევროპული სტანდარტის სკვერები და სარეკრეაციო ზონები.

20. რის გაკეთებას აპირებთ სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

თბილისი მთელი წლის მანძილზე უმასპინძლებს სპორტისა და ტურიზმის სფეროში საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებს.

თბილისი

1. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების უსაფრთხოებისა და კომფორტის გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

2. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში საავტომობილო მოძრაობის მოწესრიგების და საცობების შემცირების მიზნით?

თბილისი გახდება ევროპული სტანდარტების საცხოვრებელი ქალაქი. განხორციელდება შემდეგი ინიციატივები:

- ელექტრო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება;
- უსაფრთხო გზები და გადასასვლელები;
- საფეხმავლო ქუჩები და ველობილიკები;
- ვერტიკალური პარკირების სისტემა;
- ევროპული სტანდარტის ურბანული განვითარება.

3. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ უპატრონო ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

4. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების დარეგულირებისათვის?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

5. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.

6. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის საკითხზე?

კანდიდატის პასუხი ამ საკითხზე უცნობია.